საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ 2021 წლის საჯარო ინფორმაციის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ (შემდგომში - სააგენტო) 2021 წლის ანგარიშს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის თაობაზე.

1. მიმდინარე წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოში დაფიქსირდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის 261 ფაქტი.
2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებულია 261 გადაწყვეტილება.
3. საჯარო მონაცემთა ბაზების, პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემისათვის სააგენტო იყენებს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 35^1 მუხლის შესაბამისად საქმისწარმოების ერთიან ავტომატურ სისტემას.
4. საჯარო მოსამსახურეთა მიერ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევის შესაბამისად პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები სააგენტოში მიმდინარე წელს არ დაფიქსირებულა.
5. ვინაიდან მიმდინარე წელს სააგენტოში არ ფიქსირდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის არცერთი ფაქტი, შესაბამისად მიმდინარე წელს არც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ ჰქონია ადგილი. ამასთანავე, სააგენტოს არ გაუწევია გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებული არავითარი ხარჯები, მათ შორის, არ გადაუხდია თანხები მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ.